# U8 ფინალი

1.დარიგებულ მასალაზე ხედავთ ინტერნეტში გავრცელებულ პოსტერს. პოსტერის ავტორის აზრით ასე გამოიყურებოდა 1862 წელს დაბადებული ქართველის კარადა შიგნიდან. წუთნახევრის შემდეგ დაასახელეთ ეს ქართველი.



**პასუხი:** ნიკო ფიროსმანი
**კომენტარი:** მარცხენა მხარეს საკიდზე განთავსებულ სამოსში შეგეძლოთ ამოგეცნოთ მეეზოვის ფორმა, ხოლო მარჯვენა მხარეს კი მეთევზის. "მეეზოვე" და "მეთევზე" ნიკო ფიროსმანის ცნობილი ნახატებია.

2.ერთ სახუმარო პოსტერზე, სანადიროდ გასული მგელს **იქსების** დათვლის დროს ჩაეძინება. წიგნში "ვარსკვლავის მტვერი", ტრისტრან თორნი **იქსებს** ადარებს თეთრ და ფუმფულა ღრუბლებს. დაასახელეთ **იქსი**.

**პასუხი:** ცხვარი
**კომენტარი:** დაძინების უებარ მეთოდად უკუთვლის გარდა, ცხვრის დათვლაც მიიჩნევა. სახუმარო პოსტერზე მგელი ცხვარზე სანადიროდაა წასული, მაგრამ ცხვრის დათვლაში ჩაეძინება. ტრისტრან თორნი ცხვრებს ადარებს ღრუბლებს, რადგან ისინიც თეთრები და ფუმფულები არიან.

3. იმის გამო, რომ ესპანეთში ამ დღეს საქართველოზე 2 თვით გვიან აღნიშნავენ, ცოტა ხნის წინ გამართულ საკალათბურთო მატჩში თორნიკე შენგელიას მაისურზე ეწერა თევზაძე, რადგან თევზაძე არის შენგელიას **იქსი**. დაასახელეთ **იქსი** ორი სიტყვით, რომლებიც ქართული ანბანის მეზობელ ასოებზე იწყება.

**პასუხი:** დედის გვარი
**კომენტარი:** ესპანეთში ეს დღე მაისის დასაწყისში აღინიშნება, ხოლო ჩვენთან მარტის დასაწყისში. თორნიკეს მაისურზე შენგელიას ნაცვლად ეწერა თევზაძე, რადგან თევზაძე არის მისი დედის გვარი. ესპანეთში აღინიშნა დედის დღე. სწორი პასუხია დედის გვარი.

# U8 ფინალი

4. ლუდის რეკლამაში, რომელშიც **ჯეფ ბრიჯესი** მონაწილეობს და ამსტერდამშია გადაღებული, საუბარია **იქსებზე**. **ბრიჯესი** აღნიშნავს, რომ **იქსები**, არამხოლოდ ტერიტორიებს, არამედ ხალხსაც აკავშირებს და მათ შორის ურთიერთობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. დაასახელეთ **იქსი**, ანუ ის რაზეც **ბრიჯესი** საუბრობდა, ერთი მოკლე სიტყვის გამოყენებით.

**პასუხი:** ხიდი
**კომენტარი:** კითხვის ტექსტში შემთხვევით არ ვახსენეთ, რომ რეკლამაში ჯეფ ბრიჯესი მონაწილეობდა. ბრიჯ ინგლისურად ითარგმნება როგორც ხიდი. ამსტერდამი ასევე გავრცელებულია თავისი ხიდებით.

5. "არაფერი მომხდარა", "ძალიან გემრიელია", "როგორ გამხდარხარ", "მიხარია შენი ნახვა", "საცობში მოვყევი". თქვენ მოისმინეთ ფრაზები, რომლებიც ბრიტანელი სოციოლოგების აზრით არის ყველაზე ხშირად ნათქვამი "იქსები". დაასახელეთ **იქსი** ერთი სიტყვით.

**პასუხი:** ტყუილი
**კომენტარი:** თქვენ მოისმინეთ ფრაზები, რომლებიც როგორც წესი ტყუილია.

6. შექსპირი ამბობდა: "ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს სუნთქვის უფლება, მაგრამ მხოლოდ რამდენიმეს უნდა ჰქონდეს **"ამის გაკეთების"** უფლება. ილო ბეროშვილი არის კაცი, რომელიც სულ **"აკეთებს ამას"**. დაასახელეთ თუ რის გაკეთებაზეა საუბარი.

**პასუხი:** ლაპარაკი
**კომენტარი:** შექსპირის აზრით განსხვავებით სუნთქვისა, ლაპარაკის უფლება მხოლოდ რამდენიმე ადამიანს უნდა ჰქონდეს. ჯეოსელის კამპანიის ფარგლებში, ილო ბეროშვილი გახდა კაცი, რომელიც სულ ლაპარაკობს. სწორი პასუხია ლაპარაკი.

7.ერთ ანიმაციურ ფილმში ლომი ცხოველების კრებას აწყობს და დამსწრეებს ცოტა ხნით ადრე მიღებულ წერილს უკითხავს. ცხოველების მცირე ნაწილი, მაგალითად დინოზავრები გადაწყვეტენ წერილს ყურადღება არ მიაქციონ. **სამასოიანი** სიტყვის გამოყენებით დაასახელეთ წერილის ავტორი.

**პასუხი:** ნოე
**კომენტარი:** ანიმაციურ ფილმში სწორედ ეს გახდება დინოზავრების გადაშენების მიზეზი, რადგან სხვა ცხოველებისგან განსხვავებით მათ არ მოისმინეს ნოეს გამოგზავნილი წერილი, სადაც ის ცხოველებს მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ აფრთხილებდა და კიდობანზე ეპატიჟებოდა. სწორი პასუხია ნოე.

8. მოისმინეთ ნაწყვეტი იოსებ ნონეშვილის ლექსიდან **იქსი**:
"ზღვა და ხმელი, ცა და წყალი
აქ ერთმანეთს შეეცილა
ქუჩა? ქუჩა არსად არის
წყალში ცურავს **იქსი**."

# U8 ფინალი

დაასახელეთ **იქსი**, თუ გეტყვით, რომ ის ქალაქის სახელია.

**პასუხი:** ვენეცია
**კომენტარი:** როგორც მიხვდით ლექსი ეძღვნება ქალაქს, რომელშიც ქუჩებს ვერ შეხვდებით და რომელიც წყალზეა. "ზღვა და ხმელი, ცა და წყალი, აქ ერთმანეთს შეეცილა, ქუჩა? ქუჩა არსად არის, წყალში ცურავს ვენეცია."

9. 2004 წელს ამერიკელმა დერეკ კიპერმა თავის სტატიაში განაცხადა, რომ ის არ გაიკეთებდა **იქსს**, რადგან **იქსი** მის პირად თავისუფლებას ზღუდავდა. ამ განცხადებიდან მცირე ხნის შემდეგ დერეკი ტრაგიკულად დაიღუპა, ხოლო მისი ორი მეგობარი ცოცხალი გადარჩა. დაასახელეთ, თუ რა შევცვალეთ **იქსით**.

**პასუხი:** უსაფრთხოების ღვედი
**კომენტარი:** დერეკ კიპერი უარს აცხადებდა უსაფრთხოების ღვედის გაკეთებაზე, რადგან პირადი თავისუფლების შეზღუდვად თვლიდა. მცირე ხნის შემდეგ დერეკი ავტოკატასტროფაში დაიღუპა, ხოლო მის მეგობრებს, რომლებსაც უსაფრთხოების ღვედი ეკეთათ გადარჩნენ.

10. ერთი რომანის პერსონაჟის, ქალბატონ პემბერტონის ოთახში უცხო პირი შეიჭრება. ქალბატონი მას წასვლას სთხოვს და ემუქრება, რომ ოთახი ზედმეტად პატარაა იმისთვის, რომ პემბერტონმა ააცილოს **იქსი.**
ერთ ქართულ ნაწარმოებში ქალბატონი შვიდჯერ აცილებს **იქსს**. დაასახელეთ **იქსი**.

**პასუხი:** ტყვია
**კომენტარი:** პემბერტონი ემუქრება უცხოს, რომ პატარა ოთახში ტყვიის აცილება გაუჭირდება. "კუკარაჩაში" ინგა მურტალოს 7ჯერ აცილებს ტყვიას.

11. მაქსიმ დედკოვი სიმღერაში აღწერს საკუთარ ცხოვრებას, რომელიც სავსეა ლამაზი გოგონებით, ფულითა და მანქანებით. სიმღერის ბოლოს ნახსენებია **იქსი**, რომელიც ყველაფერს აფუჭებს. იმისათვის, რომ სკოლაში არ დაიგვიანოთ, შეიძლება ბევრ თქვენგანსაც სჭირდებოდეს **იქსის** გამოყენება. დაასახელეთ **იქსი** ერთი სიტყვით.

**პასუხი:** მაღვიძარა
**კომენტარი:** მაქსიმ დედკოვი აღწერს ბრწყინვალე ცხოვრებას, თუმცა ეს მხოლოდ მის სიზმარშია და მაღვიძარა ყველაფერს აფუჭებს. შეიძლება დილით ადრე გაღვიძების მიზნით ბევრი თქვენგანი იყენებდეს მაღვიძარას.

12. აპრილის ბოლოს, ბულგარეთის ჩემპიონატში გაიმართა საინტერესო საფეხბურთო მატჩი, რომელიც მონეტის აგდების ნაცვლად, **"ამის გაკეთებით"** დაიწყო. დაასახელეთ სიტყვები, რომლებიც შევცვალეთ **"ამის გაკეთებით"**, თუ გეტყვით, რომ უმეტესობა თქვენგანმა **"ეს გააკეთა"** დაახლოებით ორი კვირის წინ.

**პასუხი:** კვერცხების მიჯახუნება

# U8 ფინალი

**ჩათვლა:** აზრობრივად
**კომენტარი:** ბულგარეთი მართლმადიდებლური ქვეყანაა, როგორც მოგეხსენებათ 28 აპრილს აღინიშნა აღდგომის დღესასწაული. მონეტის აგდების ნაცვლად მატჩი კვერცხების მიჭახუნებით დაიწყო და ვისი კვერცხიც არ გატყდა, სწორედ მან აირჩია მოედნის მხარე. დიდი ალბათობით, სწორედ აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, თქვენც მიუჭახუნეთ კვერცხები მეგობრებს.

13. **ვაგრძელებთ!** ძველი ბერძნები **იქსს** აზავებდნენ დიდი ოდენობის **იგრეკთან** და მას, ვინც ასე არ იქცეოდა ეძახდნენ "გამოუსწორებელ ლოთს". არ გთხოვთ **იქსის** და **იგრეკის** დასახელებას, დაწერეთ პასუხების ფურცელზე ის, ვინც **იგრეკი** გადააქცია **იქსად**.

**პასუხი:** იესო ქრისტე
**კომენტარი:** ჩვენ გავაგრძელეთ აღდგომის თემატიკა. ძველ ბერძნებს არ უყვარდათ მძიმე სასმელი, ამიტომ ღვინოს აზავებდნენ წყალთან. იესო ქრისტეს ერთ-ერთი სასწაული იყო წყლის ღვინოს გადაქცევა. სწორი პასუხია იესო ქრისტე.

14. წიგნში "ვარსკვლავის მტვერი", სოფელს, სადაც მიმდინარეობს მოქმედება სახელი ეწოდა სოფლის აღმოსავლეთ მდებარე კედლის გამო. ამავე სახელს ატარებს მულტფილმიც, რომელშიც ვხვდებით დანაგვიანებულ დედამიწაზე დარჩენილ უკანასკნელ რობოტს. დაწერეთ ეს სახელი პასუხების ფურცელზე.

**პასუხი:** უოლი
**კომენტარი:** კედელი ინგლისურად არის wall [უოლ], შესაბამისად სოფელს უწოდეს უოლი. უოლი არის ცნობილი მულტფილმი დედამიწაზე დარჩენილ რობოტზე, რომელიც კოსმოსური ხომალდიდან გამოჩენილ ულტრათანამედროვე რობოტს დაუმეგობრდება.

15. გერმანელი პოეტი და რევოლუციონერი ერნსტ ტოლერი ისე გაერთო წერით, რომ უარი თქვა მეგობრების შემოთავაზებაზე და **იქსში** დარჩენა ამჯობინა. შვედეთში მდებარე ერთ-ერთ ყველაზე კომფორტულ **იქსში** ყველა იქ მყოფს აქვს საკუთარი ტელევიზორი და შეუძლიათ საჭმლის მომზადება. დაასახელეთ **იქსი** ერთი ოთხასოიანი სიტყვის გამოყენებით.

**პასუხი:** ციხე
**კომენტარი:** ერნესტ ტოლერი ძალიან გაერთო წერით და რადგან წყნარ პირობებში უწევდა მუშაობა გადაწყვიტა ციხეში დარჩენილიყო. შვედეთი ცნობილია კეთილმოწყობილი ციხეებით, სადაც პატიმრებს დიდი თავისუფლება აქვთ და საკმაოდ კომფორტულად ცხოვრობენ.